

გიორგი (გიგა) მატარაძე

გიორგი მატარაძე დაიბადა 1887 წ. თელავში ღარიბი გლეხის ოჯახში. მამის ადრეულ ასაკში გარდაცვალების გამო ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და ნათესაეების დახმარებით ის სასწავლებელში ჩაირიცხა, მაგრამ სიღარიბის გამო ვერ შეძლო მისი დამთავრება. მოგვიანებით გიორგი მატარაძე მიდის ბაქოში საცხოვრებლად, სადაც მუშაობას იწყებს კერძო სასწავლებელში. 1906 – 27 წ.წ კი ბაქოს ქართული თეატრის მსახიობი და რეჟისორია.

გიორგი მატარაძე სახვადასხვა წლებში მუშაობდა მსახიობად: 1928 –30 წ.წ. ქვემო მაჩხაანის სახალხო სახლში, 1931– 32წ.წ. ჭიათურის მუშათა თეატრში, 1932– 33წ. წ. ტექნიკური რეჟისორია თბილისის მოძრავ საკლემურნეო თეატრში. 1930 –34 წწ. ზუგდიდის, 1934 –36 წ. წ. თელავის, 1936– 37 წ. წ. ოზურგეთის თეატრების მსახიობია, ხოლო 1937 – 40 წ.წ თბილისის ჯანსახკომის მოძრავი თეატრის მსახიობ ადმინისტრატორი. 1940 – 41 წ.წ. კი მოღვაწეობს ცხინვალის თეატრში.

გიორგი მატარაძის მიერ შესრულები როლებიდან აღსანიშნავია: (პ. უმიკაშვილის „სამზადისი“), აბესალომ სალამთაძე, (დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“), მოურავი, (ა.ოსტროვსკის „უღანაშაულო დამნაშავენი“), მამა („საუბედურო დებიუტი“), ნიმშიაშვილი (დ. ერისთავის „სამშობლო“), გრიშა (ვ.შალიკაშვილის „უნიადგონი“), ხლესტაკოვი (ნ. გოგოლის „რევიზორი“), ფერმანი (ე. ჩირიკოვის „ებრაელები“), კახაბერი (ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“), პრისტავი ჩალიანი (შ. დადიანის „გუშინდელნი“), ჯაკი (დენერის, კორმონის „ორი ობოლი“).

გ. მატარაძე უძღვებოდა სეზონებს, აწყობდა და მონაწილეობდა მიწვეულ ქართველ მსახიობთა ბენეფისებში, ბაქოში ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებში. 1923 წელს ბაქოში გაიმართა ქართულ სცენაზე მისი სასცენო მოღვაწეობის 20 წლის აღსანიშნავი საბენეფისო საღამო.

გიორგი მატარაძე გარდაიცვალა 1941 წელს ცხინვალში.

გიორგი (გიგა) მატარაძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ბაქოს სომხური კულტურული კავშირის მთავარი ბიუროს წერილი გიორგი მატარაძისადმი. ეპატიუებიან კნიაზ ს. მ. ადამოვის სახლში 7 მარტს დაგეგმილ დიასახლისებისა და განმკარგულებლების საერთო კრებაზე. 1914 წ. 22 თებერვალი. ბლანკი. ხელნაწერი. მეღანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
2. ბაქოს ქართული თეატრის მმართველობის მიერ გ. მატარაძის სახელზე გაცემული საანგარიშო წიგნაკი. 1927 წ. 2 იანვარი. ნაბეჭდი. შევესებული ხელით. ბეჭედდასმული. 1 ც.
3. ბაქოს ქართული თეატრის მმართველობის ცნობა, გაცემული გიორგი მატარაძისადმი, 1925 – 1928 წ.წ. ბაქოს ქართულ დრამატულ თეატრში მისი მსახიობად მუშაობის შესახებ. 1928 წ. 5 აგვისტო. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს: მმართველობის თავმჯდომარე და მდივანი. გვარები არ იკითხება. 4 ბეჭდით. ახლავს ასლი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
4. გიორგი მატარაძის მოწმობა, გაცემული სსსრ კახეთის მაზრის ქვემო –მაჩხაანის კომიტეტის მიერ, დროებით სამი წარმოდგენის ხელმძღვანელად მიწვევის შესახებ.

1929 წ. 19 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს: თავმჯდომარე – ჩხეიძე. მდივანი – თ. ტოკლიკოვი. მელანი. 1 გვ.

5. საქ. განსახკომის დირექციასა და გიორგი მატარაძეს შორის დადებული შრომითი პირობა, საქ. საკოლმეურნეო თეატრის ტექნიკურ რეჟისორად მუშაობის შესახებ. 1930 წ. 20 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. შევსებული ხელით. ხელს აწერს: დირექტორი – დავით კობახიძე. მსახიობი – გიორგი მატარაძე. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 გვ.

6. გიორგი მატარაძის სახელზე გაცემული სიგელი, დამკვეთური შრომის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ. 1931 წ. ივნისი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. შევსებული ხელით. 1 ც.

7. ჭიათურის რაიადმასკომის დირექტორის პავლე ფრანგიშვილსა და გიორგი მატარაძეს შორის დადებული პირობა, ჭიათურის თეატრში მსახიობად მუშაობის შესახებ. 1931 წ. 31 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. შევსებული ხელით. ბეჭედდასმული. მელანი. ქართ. რუსულ ენებზე. 2 გვ.

8. სსსრ სიღნაღის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა ქ. ქედის, ზ. ქედი და წითელ წყაროს სასოფლო საბჭოსადმი, გიორგი მატარაძის ხელმძღვანელობით წარმოდგენების ჩატარებისა და მისთვის ყოველგვარი დამხმარების გაწევის შესახებ. 1932 წ. 7 ივლისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: რაიადმასკომის თავმჯდომარე – ფხეიძე. პრეზიდიუმის მდივანი – ჯორბენაძე. 1 გვ.

9. გიორგი მატარაძის მოწმობა გაცემული სსსრ. სიღნაღის ქვემო მანხაანის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, მანხაანის სახ. თეატრის მთავარ ხელმძღვანელად მუშაობისა და თეატრთან დაკავშირებული ყველა საქმის მოგვარების შესახებ. 1932 წ. 12 აგვისტო. ბლანკი. ბეჭედდასმული. ხელნაწერი. მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

10. გიორგი მატარაძის მოწმობა გაცემული „საქ. კინომრეწველობის ტრესტის კავშირკინოს გაერთიანების მიერ, ქვ. მანხაანის კინო თეატრის გამგედ მუშაობის შესახებ. 1932 წ. 9 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: საქ. სახინმრეწვის კინოფიკაციის სამმართველოს დირექტორი – თითბერიძე. თბილისის განყ. გამგე – ერონინი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

11. ზუგდიდის სახ. თეატრის დირექტორის ვახტანგ გარიკისა და გიორგი მატარაძის შორის დადებული პირობა, ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში მსახიობად მუშაობის შესახებ. 1933 წ. 15 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. შევსებული ხელით. ხელს აწერს: ზუგდიდის რაიადმასკომის განათლების განყ. რწმუნებული. სახთეატრის მთავარი რეჟისორი – ვახტანგ გარიკი. ბეჭედდასმული. მელანი. 2 გვ.

12. გიორგი მატარაძის მოწმობა, გაცემული სსსრ. ზუგდიდის სახ. თეატრის მიერ მსახიობად მუშაობის შესახებ. 1934 წ. 1 იანვარი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს: მთავარი რეჟისორი და თეატრის დირექტორი (გვარები არ იკითხება). ბეჭედდასმული. 1 გვ.

13. გიორგი მატარაძის ცნობა, გაცემული სსსრ. თელავის სახელმწიფო თეატრის ადგილკომის მიერ, თეატრში მუშაობის შესახებ. 1936 წ. 30 მაისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს: ადგილკომის თავმჯდომარე – გვარი არ იკითხება. ბეჭედდასმული. 1 გვ.

14. გიორგი მატარაძის მოწმობა გაცემული სსსრ. ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამმართველოს მიერ, ყვარელის, ლაგოდეხის, წნორის, სიღნაღის, გურჯაანის თელავის რაიონებში მისი გასტროლების შესახებ. 1939 წ. 7 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: საქ. ჯანმრთელობის მოადგილე – ფრანგიშვილი. სან. განათლების სექტორის გამგე – ნიკოლაძე. ბეჭედდასმული. 1 გვ.

15. ყვარლის თეატრის დირექტორ ლ. სვანიძესა და ჯანსახკომის თეატრის ადმინისტრატორ ლ. მატარაძეს შორის დადებული ხელშეკრულება, ყვარლის თეატრსა და ჯანსახკომის თეატრებს შორის ტექნიკური მხარეების მოგვარების შესახებ. 1939 წ. 15 ოქტომბერი. ხელნაწერი. ხელს აწერს: ყვარლის თეატრის დირექტორი – ლ. სვანიძე, ჯანსახკომის თეატრის ადმინისტრატორი – გ. მატარაძე. ბეჭედდასმული. ფანქარი. 1 გვ.

16. გიორგი მატარაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. 1940 წ. 2 დეკემბერი. ნაბეჭდი. შევსებული ხელით. 4 გვ.

17. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიმართვა თეატრალური მუზეუმის დირექტორისადმი, გიგა მატარაძის პირადი საქმის გაგზავნის შესახებ. 1941 წ. 29 მაისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს: კადრ. განყ. ინსპექტ – ვ. ბალკანსაკაია. 1 გვ.

18. საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილების თეატრალური სექციის წერილი ბაქოში არსებული საქართველოს სსრ მისიისადმი. სთხოვენ, ბაქოს ქართული თეატრის კომისარს გიორგი მატარაძისათვის დახმარების გაწევას, თეატრის საქმესთან (საქმიანობასთან) დაკავშირებით. უთარილო. ბლანკი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

19. გიორგი მატარაძის მოწმობა გაცემული სსსრ. ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის მიერ, 1933–34 წ.წ. ზუგდიდის თეატრში მისი მსახიობად მუშაობის შესახებ. უთარილო. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს: ზუგდიდის სახ. თეატრის დირექტორი – შ. დადიანი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

20. გიგა მატარაძის მოკლე ავტობიოგრაფია. უთარილო. ავტობიოგრაფი. 1 გვ.

პროგრამები

21. ა. ივანოვის თეატრში გამართული ქართული სპექტაკლის ვ. გუნიას დრამა „ორი გმირის“ პროგრამა. 1906 წ. 4 მაისი. ნაბეჭდი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 ც.

22. გიორგი მატარაძის 20 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავი საბენეფისო საღამოს პროგრამა. 1923 წ. 20 აპრილი. ბაქო. ნაბეჭდი. 1 ც.

23. ბაქოში ჩატარებული „ქართული საღამოს“ პროგრამა. 1924 წ. 7 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 ც.

24. ბაქოს ქართ. დრამის კოლექტივის მიერ წარმოდგენილი გიგა მატარაძის საბენეფისო საღამოს პროგრამა. 1924 წ. 9 მაისი. ბაქო. ნაბეჭდი. 2 ც.

25. გიორგი მატარაძის მონაწილეობით ქვ. მაჩხაანის სახალხო სახლში გამართული სპექტაკლის პროგრამა. 1924 წ. 4 აგვისტო. ნაბეჭდი. 1 ც.

26. ხულოს სახ. სარაიონო კულტურის სახლში გამართული ჯანსახკომის მოძრავი სახელმწიფო თეატრის გასტროლების პროგრამა. 1939 წ. 26 აგვისტო. ნაბეჭდი. 2 ც.

სხვადასხვა

27. ბაქოს ქართული თეატრის გარდერობისა და რეკვიზიტის სია.
1911 წ. 11 ივნისი. ხელნაწერი. დაზიანებული. 2 გვ.

28. გიორგი მატარაძის წერილი საქ. ხელოვნების სამმართველოსადმი, ითხოვს
სტალინის თეატრში(თუ სტალინის სახ. თეატრი) მსახიობად მივლინებას.
1940 წ. 2 დეკემბერი. ავტოგრაფი. გ. მატარაძის ხელმოწერით. მელანი. 1 გვ.

29. აზერბაიჯანის მუშაკთა კავშირის მე – 5 ყრილობის დელეგაციის ბლოკნოტის
ცარიელი ყდა.
უთარილო. 1 ც.